



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №26

2016 წლის 29 აგვისტო
ქალაქი ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის №18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. „ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის №18 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

პირველი მუხლის პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოიყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტები (შენობა-ნაგებობები) წარმოდგენილი დაწარმის სახით. საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით. საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი).“

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღეშვილის ქ.№62.)

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე